საქართველოს
ფინანსთა სამინისტრო
Ministry of Finance
of Georgia

https://edoc.mof.ge/public/#/

94055-07-05-2-201908301050

N 07-05/94055
30/08/2019

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა,
შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის
მინისტრის პირველ მოადგილეს
ბატონ ზაზა ბოხუას

ბატონო ზაზა,

გაცნობებთ, რომ მიმდინარე წლის 31 იანვარს გაფორმდა ჩარჩო შეთანხმება „კორეის რესპუბლიკის მთავრობასა და საქართველოს მთავრობას შორის ეკონომიკური განვითარებისა და თანამშრომლობის ფონდიდან (EDCF) სესხების გამოყოფის შესახებ“. დოკუმენტი საშუალებას გვაძლევს კორეის რესპუბლიკასთან ვაწარმოოთ მოლაპარაკებები ქვეყნისთვის პრიორიტეტული პროექტების დაფინანსების მიზნით.

აღნიშნულთან დაკავშირებით მიმდინარე წლის ოქტომბრის თვეში (ზუსტ თარიღს, დროს და ადგილს შეგატყობინებთ დამატებით) საქართველოს ვიზიტით ეწვევა კორეის ექსიმბანკის დელეგაცია, ვინაიდან სწორედ ექსიმბანკის მეშვეობით მოხდება დაფინანსების მიღება. ვიზიტის ფარგლებში განვიხილავთ სამომავლო თანამშრომლობის დეტალებს.

შესაბამისად გთხოვთ მოგვაწოდოთ იმ პრიორიტეტული პროექტების შესახებ ინფორმაცია, სადაც შევძლებთ კორეული მხარის მიერ შემოთავაზებული დახმარების და მათ გამოცდილების, როგორც საუკეთესო პრაქტიკის გამოყენებას.

პატივისცემით,

ნიკოლოზ გაგუა

მინისტრის მოადგილე

0114 Tbilisi, გორგასლის ქუჩა 16
ტელ: (+99532) 2261412;
ელფოსტა: info@mof.ge
ვებგვერდი: www.mof.ge

0114 Tbilisi, 16 Gorgasali Street
Tel: (+99532) 2261412;
E-mail: info@mof.ge
Website: www.mof.ge